საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

08/08/2025

MES 8 25 0001019735

გადაწყვეტილება

შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთი"- ის "სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 08 აპრილის №391712 (ცვლილება ბრძანებაში №426505, 19/04/2025) ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) აკრედიტაციის საბჭომ 4.5 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

“სასურველია მოსალოდნელი სტუდენტთა რაოდენობის, შესაბამისი აკადემიური პერსონალის და საჭირო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შემუშავდეს დეტალური ბიზნესგეგმა, რომელიც ნათლად აჩვენებს, როგორ შეიძლება იქნეს მიღწეულ რენტაბელობის ზღვარი", რის შედეგადაც შეიცვალა 4.5 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულს არ გამოუწვევია 4 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთი"- ის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "სტომატოლოგიის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით (2027 წლის 31 დეკემბრამდე).
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "სტომატოლოგიის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

1. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს სხდომის №990502 ოქმის № 05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
2. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია განახლდეს და დაზუსტდეს პროგრამის "სტომატოლოგია" მიზნები დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე. ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ხელს შეუწყობს საზოგადოებასთან მკაფიო კომუნიკაციას, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას და პოტენციური სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდებას.
- რეკომენდებულია გაიზარდოს სტომატოლოგიის პროგრამის ფინალური გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რათა კურსდამთავრებულებმა სრულად დააკმაყოფილონ კლინიკური პრაქტიკისა და პაციენტთა უსაფრთხოებისთვის დადგენილი სტანდარტები.
- რეკომენდებულია გადაიხედოს და გადამუშავდეს კურსების სილაბუსები იმისათვის, რომ ყველა დაგეგმილი საგანმანათლებლო აქტივობა, მათ შორის ლაბორატორიული პრაქტიკა, სწორად იასახოს კურსის ფორმატსა და საკონტაქტო საათების განაწილებაში. ეს უზრუნველყოფს სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ერთმანეთთან შესაბამისობას.
- რეკომენდებულია დაინერგოს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), როგორც სტუდენტების კლინიკური კომპეტენციების შეფასების სტანდარტიზებული მეთოდი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს როგორცპაციენტებთან კომუნიკაციის, ისე ძირითადი კლინიკური უნარების შეფასებას.
- რეკომენდებულია გადაიხედოს კრედიტების განაწილების ცხრილი, რომელშიც მითითებულია სულ 240 კრედიტი 300 ECTS-კრედიტის ნაცვლად, რათა ზუსტად აისახოს პროგრამის რეალური სტრუქტურის შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან და მარეგულირებელ მოთხოვნებთან.
- რეკომენდებულია ჩინურ ენასთან ერთად სხვა უცხო ენებიც შეთავაზება, რათა სტუდენტებს მიეცეთ უფრო ფართო არჩევანის შესაძლებლობა და გათვალისწინებული იქნას მათი მრავალფეროვანი ინტერესები, რაც გააუმჯობესებს მათ პროფესიულ ზრდასა და განვითარებას.
- რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს, „კვლევითი პროექტი სტომატოლოგიაში“ სამაგისტრო ნაშრომის ექვივალენტურია თუ წარმოადგენს კვლევის მეთოდების კურსს.

თუ ეს არის ნაშრომი, შესაბამისად გაზარდეთ ECTS კრედიტების რაოდენობა; წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყავით, რომ 4-კრედიტიანი კურსი მოიცავდეს სტრუქტურირებულ შეფასებებს, რომელშიც გაწერილი იქნება მკაფიო შეფასების კრიტერიუმები და მინიმალური ზღვარი, რომლებიც შეესაბამება მის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

- რეკომენდებულია პროგრამაში ნათლად იყოს განსაზღვრული და დოკუმენტურად დაფიქსირებული, როგორ გადიან სტუდენტები რეალურ კლინიკურ პრაქტიკას მენტორის ზედამხედველობის ქვეშ — მათ შორის მიეთითოს ვადები, მოცულობა და შეფასების პროცედურები. შესაბამისობის დასადასტურებლად, რეკომენდებულია წარმოდგენილი იქნას მტკიცებულება, როგორიცაა სილაბუსებში მოცემული მითითებები, შეფასების რუბრიკები და კლინიკურ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რაც უზრუნველყოფს დარგობრივ მახასიათებლებთან და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას.
- რეკომენდებულია პროგრამამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს, როგორ ხორციელდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) პრაქტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) მოხსენიებულია როგორც ერთ-ერთი გამოყენებული სწავლების მეთოდი, ის წარმოდგენილი სილაბუსებიდან არც ერთში არ არის მითითებული. რეკომენდებულია სწავლების მეთოდების დოკუმენტაცია ზუსტად ასახავდეს მათ რეალურ გამოყენებას და შეესაბამებოდეს სასწავლო პროცესის მართვას.
- რეკომენდებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრების აწევა როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასებებისთვის, რაც უზრუნველყოფს, რომ მათი ჯამი 51 ქულას შეადგენდეს.
- რეკომენდებულია გადაიხედოს დამატებითი/განმეორებითი გამოცდის თარიღის განსაზღვრის წესი, რათა ის შეესაბამებოდეს ბრძანება N 3 დებულებებს.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სილაბუსებში შეფასების სტანდარტების როგორც სტრუქტურა, ისე შინაარსი, რათა უზრუნველყოფილი იქნას დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისობა.
- რეკომენდებულია შემუშავდეს მკაფიო სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს კლინიკურ გარემოში ჰქონდეთ წვდომა საკმარისი რაოდენობის პაციენტებზე.
- რეკომენდებულია, პროგრამა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ადამიანური რესურსებით, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია.
- რეკომენდებულია, დაინერგოს სტატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის უწყვეტ სამეცნიერო საქმიანობას და გაზრდის მათ ხილვადობას საერთაშორისო დონეზე — მათ შორის, PubMed-ში ინდექსირებულ რეცენზირებულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებით.
- რეკომენდებულია პროგრამაში წარმოდგენილი იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს თანამედროვე სწავლების მეთოდებში გადამზადებასა და შესაბამისი უნარების განვითარებას.
- რეკომენდებულია დეტალურად განისაზღვროს ინფრასტრუქტურის მოთხოვნები იმ სტომატოლოგიური კლინიკებში, სადაც ხორციელდება კლინიკური სწავლება.
- პროგრამის ეფექტურობისა და სათანადო მონიტორინგის უზრუნსაყოფად, რეკომენდებულია, რომ თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა წარმოადგინოს როგორც შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიში, ასევე დოკუმენტი, რომელიც ასახავს, თუ როგორ უპასუხა დაწესებულებამ გარე შეფასებებს.

- რეკომენდებულია, თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შექმნას ცალკე სამიზნე ნიშნულების დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნება მკაფიო ინდიკატორები და კრიტერიუმები, რათა შეძლოს მათი პროგრამის სხვა მსგავს პროგრამებთან შედარება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 25 ივლისიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 25 ივლისი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე